საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისია

გადაწყვეტილება

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

პირველი დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

კონსტანტინე გელაშვილი - კოლეგიის თავმჯდომარე

ანა ლორია - კოლეგიის წევრი

ანა ხურციძე - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: გ. გ.

საჩივრის ავტორის წარმომადგენელი: ჯ. გ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 15.06.2020

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 045/20

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ი. შ.-ს მიმართ /სიითი №/

საჩივრის ავტორის მოთხოვნა: ადვოკატ ი. შ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას 2020 წლის 12 ივნისს საჩივრით მომართა გ. გ.-მ და მოითხოვა ადვოკატ ი. შ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, 1999-2000 წლებში საერთო სასამართლოების მიერ განხილულ იქნა ადმინისტრაციული საქმე (მიწის ნაკვეთის პრივატიზების საკითხი), რომელშიც მონაწილეობდნენ შემდეგი მხარეები: მოსარჩელეები: ხ. ხაბულიანი და სხვები, მოპასუხე ლენტეხის გამგეობა და მესამე პირები - გ. გ. და სხვები. აღნიშნულ პერიოდში, ქუთაისის საოლქო სასამართლოს მოსამართლე იყო მოპასუხე ადვოკატი - ი. შ., რომელმაც 1999 წელს მოსამართლის რანგში განიხილა ზემოაღნიშნული საქმე და მან დააკმაყოფილა გ. გ.-ს სააპელაციო საჩივარი. შესაბამისად, გაუქმდა პირველი ინსტანციის მიერ მიღებული გადაწყვეტილება და მოსარჩელეებს სადავო მიწის ნაკვეთზე საკუთრების გადაცემაზე ეთქვათ უარი. აღნიშნულ საქმეზე 1999 წლის 17 ნოემბერს მოსამართლის რანგში ი. შ.-ს მიერ მიღებული ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება მოსარჩელეთა მიერ გასაჩივრდა საკასაციო წესით, რის შედეგადაც საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში.

1.3 საჩივრის ავტორის განცხადებით, რამდენიმე წლიანი დავის შემდგომ, ზემოაღნიშნული საქმის წარმოება დასრულდა და 2005 წლის 20 ივლისის კანონიერ ძალაში შესული ლენტეხის რაიონული სასამართლოს N2/XX გადაწყვეტილებით, დაკმაყოფილდა გ. გ.-ს მოთხოვნა. 2005 წლის 17 სექტემბერს გ. გ.-მ საჯარო რეესტრში დაირეგისტრირა მიწის ნაკვეთი.

1.4 საჩივრის ავტორის განცხადებით, 2018 წლის 23 ივლისს ადვოკატმა ი. შ.-მ, როგორც ხ., ე. და ვ. ხ.-ების წარმომადგენელმა მიმართა ლენტეხის რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა 2005 წლის 20 ივლისის N2/XX ლენტეხის რაიონული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და საქმისწარმოების განახილება, იმ საფუძვლით, რომ თითქოს მისი მარწმუნებლები 2005 წელს არ იყვნენ საქმის განხილვაზე მიწვეულნი.

1.5 საჩივრის ავტორის განმარტებით, ი. შ.-ს მარწმუნებელს ჯერ კიდევ 2005 წელს ჰქონდა ინფორმაცია სასამართლო პროცესის თაობაზე. ადვოკატმა ი. შ.-მ ხელი შეუწყო უკანონო მტკიცებულების შექმნას. ადვოკატი ი. შ. არასწორ ინფორმაციას აწვდიდა სასამართლოს, კერძოდ, სხდომებზე განმარტავდა, რომ სადავო ნაკვეთი მდებარეობს „სოფლის შუაგულში“, შემდეგ კი ამბობდა, რომ მდებარეობს სოფელ მ.-ს ადმინისიტრაციულ საზღვრებში.

1.6 საჩივრის მიხედვით, ადვოკატ ი. შ.-ს მოთხოვნა ლენტეხის რაიონულმა სასამართლომ 2019 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილებით დააკმაყოფილა, კერძოდ, ბათილად ცნო ზემოაღნიშნული 2005 წლის 20 ივლისს ლენტეხის რაიონული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება და ამავე დროს საქმისწარმოება შეწყვიტა ხანდაზმულობის მოტივით გ. გ.-ს ინტერესების საწინააღმდეგოდ.

1.7 2019 წლის აპრილში, ადვოკატმა ი. შ.-მ, როგორც ხ., ე. და ვ. ხ.-ების წარმომადგენელმა აგრეთვე მიმართა ცაგერის რაიონულ სასამართლოს ანალოგიური მოთხოვნით (2005 წლის

20 ივლისს ლენტეხის რაიონული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობის თაობაზე). შესაბამისად, 2018 წლიდან დღემდე ი. შ., როგორც ადვოკატი ჩართული იყო ზემოაღნიშნულ სასამართლო პროცესებში.

1.8 საჩივრის ავტორის წარმომადგენლის ჯ. გ.-ს განცხადებით, ის ტექნიკური საკითხი, რომ 25 წლის განმავლობაში იცვლება საკანონმდებლო თუ ფაქტობრივი საფუძველი, ვერ შეცვლის იმ ფაქტს, რომ ყველა განხილული საქმე შეეხება ერთი და იმავე მიწის ნაკვეთთან დაკავშირებით ნაწარმოებ საქმეს.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა ი. შ.-მ ეთიკის კომისიაში 2020 წლის 23 ივნისს წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება, სადაც მიუთითა, რომ გ. გ. და საქმეში არსებული სხვა მოსარჩელეები ცხოვრობენ ლენტეხის რაიონის სოფელ ს.-ში. სადავო საკითხს წარმოადგენდა ლენტეხის რაიონის სოფელ მ.-ში მდებარე სათიბი.

2.2 ადვოკატის განცხადებით, საჩივრის ავტორის ძირითადი მტკიცებულება საქმესთან დაკავშირებით არის 1913 წლის „ნასყიდობის აქტი“, რის საფუძველზეც მოითხოვს ის მესაკუთრედ ცნობას.

2.3 ადვოკატის განცხადებით, საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების პალატის 1999 წლის 17 ნოემბრის გადაწყვეტილებიდან ჩანს, რომ მისი მონაწილეობთ განხილულ საქმეზე მოსარჩელეებს წარმოადგენდნენ ა., ს., ხ., თ. ხ.-ები და სხვები, მოპასუხეებს - ლენტეხის რაიონის გამგეობა, გი., გ. გ.-ები, რ. ბ.. დავის საგანი: ლენტეხის გამგეობის 1996 წლის 23 ივლისის და ჩ.-ს თემის საკრებულოს 1996 წლის 25 ივლისის გადაწყვეტილებათა კანონიერება.

2.4 ადვოკატის განცხადებით, მისი მონაწილეობით განხილული საქმის წარმოება დასრულდა და საბოლოო გადაწყვეტილება მიღებულ იქნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2000 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილებით, რომელიც კანონით დადგენილი წესით შევიდა ძალაში და დღემდე უცვლელია. გადაწყვეტილებით პალატამ ბათილად ცნო გასაჩივრებული გადაწყვეტილებები და გააუქმა ამ გადაწყვეტილებათა საფუძველზე საადგილმამულო წიგნში (საჯარო რეესტრში) განხორციელებული ჩანაწერები.

2.5 ახალი დავა, რომელშიც ადვოკატი ჩაერთო გ. გ.-ს მოწინააღმდეგე მხარედ, ეხებოდა სხვა საქმეს. კერძოდ, 2002 წლის 25 ნოემბერს ჩ.-ს თემის საკრებულომ გამოსცა ახალი ადმინისტრაციული აქტი. გ. გ.-მ სხვა მოსარჩელეებთან ერთად კიდევ ერთხელ მიმართა სარჩელით ლენტეხის რაიონულ სასამართლოს ლენტეხის გამგეობისა და ჩ.-ს თემის საკრებულოს წინააღმდეგ და მოითხოვა 2002 წლის 25 ნოემბრის გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, იმ საფუძვლით, რომ საქმის განხილვაში არ იყვნენ ჩართულები მიწის მესაკუთრეები.

2.6 ადვოკატის განმარტებით, ლენტეხის რაიონულმა სასამართლომ 2005 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილებით დააკმაყოფილა გ. გ.-ს სასარჩელო მოთხოვნა და შესაბამისად, ბათილად ცნო 2002 წლის 25 ნოემბრის დადგენილება, რის საფუძველზე გაუქმდა ლენტეხის რაიონის სარეგისტრაციო სამსახურში განხორციელებული ჩანაწერები სოფელ მ.-ს 13 კომლის საკუთრების შესახებ და სათიბი „ზედა თ“ საკუთრებაში გადასცა მოსარჩელეებს - გ. გ.-ს და სხვებს.

2.7 ადვოკატის განცხადებით, საკუთრების სარეგისტრაციო ჩანაწერების გაუქმების შესახებ ინფორმაციის მიღების შემდეგ, ხ., ე. ხ.-ებმა და სხვებმა განცხადებით მიმართეს სასამართლოს და მოითხოვეს ლენტეხის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და საქმისწარმოების განახლება.

2.8 ადვოკატის განცხადებით, მას ზემოაღნიშნული საქმისწარმოების განხილვაში ჩაერთო ახლადაღმოჩენილ გარემოებათა გამო განცხადების განხილვის ეტაპზე 2018 წლის აგვისტოში.

2.9 ადვოკატის განმარტებით, მის მიერ 1999 წელს მოსამართლის რანგში განხილული საქმე დასრულებულია. ამჟამად, დავა, რომელიც მიმდინარეობს სააპელაციო სასამართლოში, სამართლებრივად განსხვავებულია (მიმდინარეობს დავა სხვა მხარეებს შორის და დავის საგანია - ახლადაღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმისწარმოების განახლება).

2.10 ადვოკატის განმარტებით, მასზე არ ვრცელდება ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 8.3 მუხლი, რადგან ამ მუხლით დადგენილი შეზღუდვა ეხება მხოლოდ ერთი და იმავე და არა დაკავშირებულ საქმეს.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობის შემოწმება:

3.1 ადვოკატი ი. შ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოქმედი წევრი /სიითი №/ სპეციალიზაცია - საერთო სამართალი.

3.2 გ. გ.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2020 წლის 15 ივნისს.

3.3 სადავო მოქმედება ხორციელდება 2018 წლიდან დღემდე. შესაბამისად, დაცულია ეთიკის კომისიისთვის მომართვის კანონით განსაზღვრული ხანდაზმულობის 5 წლიანი ვადა (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 32.2).

4. შემაჯამებელი დასკვნა:

ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებით, ადვოკატ ი. შ.-ს მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონითა (მუხლი 32) და დებულებით (მუხლი 30.1) გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია ადვოკატ ი. შ.-ს მიმართ გამოიხატა შემდეგში: ადვოკატი ი. შ. საჩივრის ავტორის მოწინააღმდეგე მხარეს უწევს საადვოკატო მომსახურებას იმ საქმესთან დაკავშირებით, რომელიც მანამდე - 1999 წელს, ადვოკატმა, ქუთაისის საოლქო სასამართლოს მოსამართლის რანგში განიხილა და მიიღო გადაწყვეტილება.

5.2 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ ი. შ.-ს მიერ შემდეგი მუხლის შესაძლო დარღვევის თაობაზე:

5.2.1 დაუშვებელია ადვოკატის მიერ პროფესიული ფუნქციების შესრულება იმ საქმეზე, რომელზედაც მან უკვე განახორციელა მოსამართლის … სტატუსით და საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებანი (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 8.3).

5.2.2 ადვოკატს ეკრძალება ორი ან მეტი კლიენტის წარმომადგენლობა ერთი და იმავე ან დაკავშირებულ საქმეზე, თუკი აღნიშნული კლიენტების ინტერესებს შორის არსებობს კონფლიქტი ან მისი წარმოქმნის მნიშვნელოვანი საფრთხე (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 6.1).

5.2.3 კონფლიქტი სახეზეა, როდესაც ადვოკატის ვალდებულებები ორი ან მეტი კლიენტის წარმომადგენლობისას ერთი და იგივე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეში ურთიერთსაწინააღმდეგოა ან არსებობს ასეთი წინააღმდეგობის წარმოშობის მნიშვნელოვანი საფრთხე (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 6.2.ა).

5.2.4 კლიენტის ინტერესების შესაბამისად მოქმედების ვალდებულება ეწინააღმდეგება, ან არსებობს ასეთი წინააღმდეგობის წარმოშობის მნიშვნელოვანი საფრთხე ამ ადვოკატის ან მასთან დაკავშირებული პირის ინტერესებთან (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 6.2.ბ).

5.2.5 ადვოკატი ვალდებულია შეწყვიტოს ყველა კლიენტის საქმის წარმოება, რომელთა ინტერესებსაც იგი წარმოადგენდა, თუკი კლიენტებს შორის წარმოიქმნა ინტერესთა კონფლიქტი მოცემულ ან დაკავშირებულ საქმეზე და არსებობს ადვოკატის მიმართ ნდობის დარღვევის და/ან კონფიდენციალობის ხელყოფის საფრთხე (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 6.5).

5.3 ეთიკის კოდექსის 6.1, 6.2(ა) მუხლებით ინტერესთა კონფლიქტის წარმოქმნის წყარო არის ადვოკატის ორი ან მეტი კლიენტი, ხოლო 6.2(ბ) მუხლი კონფლიქტის წარმოქმნის წყაროდ ასახელებს ადვოკატის ან მასთან დაკავშირებული პირის ინტერესებს. 2012 წლის ცვლილებების შემდეგ, ეთიკის კოდექსის სამივე მითითებული ნორმა (6.1, 6.2.ა, 6.2.ბ) კონფლიქტის დაუშვებლობას ავრცელებს არა მხოლოდ ერთი და იმავე, არამედ

დაკავშირებულ საქმეებზეც, რადგან ადვოკატს გააჩნია კონფიდენციალობის ვალდებულება მოქმედი, პოტენციური და ყოფილი კლიენტების მიმართ.

5.4 განსხვავებით ეთიკის კოდექსისაგან, ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 8.3 მუხლი ინტერესთა კონფლიქტად აკვალიფიცირებს ისეთ შემთხვევებს, როდესაც ადვოკატი პროფესიულ ფუნქციებს ასრულებს იმავე საქმეზე, რომელზედაც მან საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა, მათ შორის მოსამართლის უფლებამოსილება შეასრულა. ეს შეზღუდვა არ ითვალისწინებს დაკავშირებულ საქმეებში მონაწილეობას, რადგან მოსამართლეს, ადვოკატისაგან განსხვავებით, არ აქვს მხარეთა მიმართ კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება. სწორედ აქედან გამომდინარე ადგენს ეთიკის კოდექსი შეზღუდვას ადვოკატის მიერ პროფესიული ფუნქციების განხორციელებაზე მის კლიენტებს შორის არსებული კონფლიქტის დროს, რადგან ადვოკატს კონფიდენციალობის ვალდებულება გააჩნია როგორც მოქმედი, ასევე ყოფილი და პოტენციური კლიენტების მიმართ. შესაბამისად, საპროცესო კოლეგიის განმარტებით, ადვოკატს, რომელმაც დაკავშირებულ საქმეზე მოსამართლის როლი შეასრულა, არ შეიძლება შეეზღუდოს საადვოკატო საქმიანობის განხორციელების უფლება, დაკავშირებულ საქმეზე.

5.5 საქმეში წარმოდგენილი მასალებით დგინდება, რომ 1999 წელს ი. შ.-მ, როგორც ქუთაისის საოლქო სასამართლოს მოსამართლემ განიხილა საქმე და მიიღო გადაწყვეტილება საქმეზე, რომლის მხარეები იყვნენ აპელანტები: გ. გ. და რაფიელ ბენდელიანი და მოწინააღმდეგე მხარეები: ა., დ., თ., ჭ. ხ.-ები და სხვები. აპელანტების მოთხოვნა იყო 1999 წლის 28 ივლისის ცაგერის რაიონის სასამართლოს მიერ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების გაუქმება. მხარეებს შორის სადავო საკითხს წარმოადგენდა სოფელ მ.-ში მდებარე მიწის ნაკვეთი „ზედა თ“. დგინდება, რომ ი. შ.-მ მოსამართლის რანგში დააკმაყოფილა გ. გ.-ს, როგორც აპელანტის მოთხოვნა (მტკიცებულება - 1999 წლის 17 ნოემბრის ქუთაისის საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება). გ. გ.-ს მოწინააღმდეგე მხარემ გაასაჩივრა მოცემულ გადაწყვეტილება კასაციის წესით და მისი საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა (მტკიცებულება - მხარეთა ახსნა-განმარტება, ლენტეხის რაიონულის სასამართლოს 2005 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილება).

5.6 საპროცესო კოლეგია ვერ გაიზიარებს საჩივრის ავტორის პრეტენზიას იმის თაობაზე, რომ ადვოკატ ი. შ.-ს 2018 წელს არ უნდა დაეწყო საადვოკატო მომსახურების გაწევა საჩივრის ავტორის მოწინააღმდეგე მხარეთათვის, რადგან მოპასუხე ადვოკატს მოსამართლის რანგში ჰქონდა მონაწილეობა მიღებული მხარეთა შორის არსებულ არა იმავე, არამედ დაკავშირებულ დავაში.

5.7 საქმის მასალებით დასტურდება, რომ 1999 წელს ი. შ.-ს მიერ მოსამართლის რანგში განხილული საქმის წარმოება დასრულდა საქართველოს უზენაეს სასამართლოში საქმის განხილვის ეტაპზე. 2018 წელს ადვოკატმა ი. შ.-მ, როგორც გ. გ.-ს მოწინააღმდეგე მხარეთა

ადვოკატმა მოითხოვა 2005 წლის 20 ივლისის N2/XX ლენტეხის რაიონული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, რომლის განხილვაში მას, როგორც მოსამართლეს, მონაწილეობა არ მიუღია. ამასთან, მართალია საკითხი ეხებოდა იმავე მიწის ნაკვეთს, თუმცა 1999 წელს განხილული საქმისგან განსხვავებით, ზემოაღნიშნულ საქმეში მოსარჩელე მხარეებს წარმოადგენდნენ გ. გ., ბ. გ. და სხვები, ხოლო მოპასუხე მხარე იყო - ჩ.-ს თემის საკრებულო.

5.8 კოლეგია აღნიშნავს, რომ შესაძლებელია, გ. გ.-სა და მისი მოწინააღმდეგე მხარეთა შორის არსებული სადავო საკითხები 1999 წლიდან დღემდე ერთი და იმავე მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების მოპოვებას უკავშირდებოდეს, თუმცა ი. შ.-ს მიერ მოსამართლის რანგში განხილული საქმის მხარეთა მონაწილეები და 2018 წელს ლენტეხის რაიონულ სასამართლოში წარმოებული საქმის მხარეები, ამავე დროს სასარჩელო მოთხოვნა, რომელშიც ი. შ., როგორც ადვოკატის სტატუსით ისე ჩაერთო - განსხვავებულია. შესაბამისად, საპროცესო კოლეგიის განმარტებით, ეს დავა მართალია დაკავშირებული იყო, რადგან იმავე მიწის ნაკვეთებს ეხებოდა, თუმცა ეს არ იყო ერთი და იგივე საქმე.

5.9 მიუხედავად იმისა, რომ სახეზეა ურთიერთდაკავშირებული საქმეები, ადვოკატის მხრიდან ეთიკური ვალდებულების დარღვევა არ ვლინდება, ვინაიდან, ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონით (მუხლი 8.3), ადვოკატს ეზღუდება საადვოკატო საქმიანობა მხოლოდ იმ საქმეზე (და არა დაკავშირებულ საქმეზე), რომელზეც მან განახორციელა მოსამართლის უფლებამოსილება.

5.10 საპროცესო კოლეგიის განმარტებით, მოცემულ შემთხვევაზე ვერ გავრცელდება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის ვერც 6.1 და ვერც 6.2.ა, 6.2.ბ მუხლებით განსაზღვრული ინტერესთა კონფლიქტის მარეგულირებელი ნორმები, სადაც საუბარია ასევე დაკავშირებულ საქმეებზე, რადგან სახეზე არ გვაქვს ადვოკატ ი. შ.-ს ორი ან მეტი კლიენტი, რომელთა მიმართ ადვოკატს სხვა ვალდებულებებთან ერთად, გააჩნია პროფესიული საიდუმლოების დაცვის ვალდებულება. ასევე არ ვლინდება ადვოკატ ი. შ.-ს ან მასთან დაკავშირებული პირის პირადი ინტერესი. მოპასუხე ადვოკატს, იმ დროისათვის, როდესაც მოსამართლის ფუნქციას ასრულებდა, არ ჰქონდა ინფორმაციის კონფიდენციალურად შენახვის ეთიკური ვალდებულება არც ერთი მხარის მიმართ, განსხვავებით ადვოკატისაგან. სწორედ ამიტომ არ შეიძლება გავრცელდეს საქართველოს კანონის 8.3 მუხლით განსაზღვრული შეზღუდვა დაკავშირებულ საქმეებზე. საპროცესო კოლეგიის განმარტებით, ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 8.3 მუხლით ქმედების კვალიფიკაციისათვის, აუცილებელია სახეზე იყოს ერთი და იგივე საქმე.

5.11 შედეგად, საქმე, რომელზეც ადვოკატმა ი. შ.-მ მოსამართლის რანგში მიიღო გადაწყვეტილება არ წარმოადგენს იმავე მხარეებს შორის იმავე დავასთან დაკავშირებით ნაწარმოებ საქმეს, რომელზეც შემდგომში ის ადვოკატის სტატუსით ჩაერთო, როგორც საჩივრის ავტორის პროცესუალური მოწინააღმდეგე მხარეთა დამცველი.

5.12 მოცემულ შემთხვევაში, საპროცესო კოლეგიის შეფასებით, არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა ადვოკატ ი. შ.-ს მიმართ, რადგან მის მიერ საადვოკატო საქმიანობის განხორციელება საჩივრის ავტორის მოწინააღმდეგე მხარის სასარგებლოდ, არ წარმოადგენს დისციპლინურ გადაცდომას.

5.13 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 32–ე, 33–ე მუხლებით; დებულების 30.2, 40.1 მუხლით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე N045/20 ადვოკატ ი. შ.-ს მიმართ /სიითი / არ აღიძრას დისციპლინური დევნა დისციპლინური გადაცდომის არარსებობის გამო.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /კონსტანტინე გელაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ანა ლორია/

კოლეგიის წევრი: /ანა ხურციძე/